მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ასპექტები ციფრული პროდუქტების ბაზარზე

ალექსანდრა კობახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური წერა იურისტებისთვის კურსის მიზნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

კურსის ხელმძღვანელი : ზურაბ გველესიანი - სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026.

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ალექსანდრა კობახიძე

20.01.2026

აბსტრაქტი

ციფრული პროდუქტების ბაზრის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მომხმარებელთა ჩართულობა თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებში და გაამწვავა მომხმარებელთა უფლებრივი დაცვის საკითხები. ციფრული პროდუქტების ფართო გავრცელებამ, რომლებიც მოიცავს როგორც ციფრულ შინაარსს, ისე ციფრულ სერვისებს, წარმოშვა სამართლებრივი გამოწვევები, რომელთა მოწესრიგებაც ტრადიციული სამოქალაქო და სამომხმარებლო სამართლის მექანიზმებით ხშირად არაეფექტიანია. დისტანციური სახელშეკრულებო მოდელები და სტანდარტული პირობები ზრდის ინფორმაციის ასიმეტრიას და ამცირებს მომხმარებელთა უფლებების ეფექტური რეალიზების შესაძლებლობას.

კვლევის მიზანია ციფრული პროდუქტების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, ევროკავშირის სამართლებრივ მიდგომებთან შედარებით. ნაშრომი ეფუძნება დოგმატურ-სამართლებრივ, ანალიტიკურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს მოქმედი რეგულირების სისტემურ ანალიზს და პრობლემური ასპექტების გამოვლენას.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ფოკუსირებულია ევროპულ სტანდარტებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციასა და მომხმარებელთა უფლებების ეფექტურ დაცვას ციფრულ პროდუქტებთან დაკავშირებით რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესებისა და პრაქტიკული სტრატეგიების შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები:

ციფრული პროდუქტები, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სამომხმარებლო სამართალი, ციფრული შინაარსი, ევროკავშირის სამართალი.

Abstract

The rapid development of the digital products market has significantly transformed consumer involvement in modern legal relations and has intensified issues related to the protection of consumer rights. The widespread use of digital products, encompassing both digital content and digital services, has given rise to legal challenges that are often inadequately addressed by traditional mechanisms of civil and consumer law. Distance-based contractual models and standard terms increase information asymmetry and reduce consumers' ability to effectively exercise their rights.

The aim of the research is to define the legal nature of digital products and to assess the existing mechanisms for the protection of consumer rights within the Georgian legal system, in comparison with the legal approaches of the European Union. The paper is based on dogmatic legal, analytical, and comparative legal methods, which ensure a systematic analysis of the current regulatory framework and the identification of problematic aspects.

Based on the research findings, recommendations were developed that focus on harmonizing national legislation with European standards and ensuring the effective protection of consumer rights in relation to digital products, which will contribute to the improvement of Georgia's legal system and the development of practical implementation strategies.

Keywords:

Digital products, consumer rights protection, consumer law, digital content, EU law.